



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 15
 28/03/2019

15-07-4-20190328172



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №15
 2019 წლის 28 მარტი
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა
 რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გაზარდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში, დამხმარე (არამუდმივი) ამოცანების შესრულების მიზნით არსებული, შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნება ხუთი ერთეულით, (რომელშიც იგულისხმება სპეციალისტი ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სპეციალისტი გენდერულ საკითხებში, სპეციალისტი სამედიცინო განათლებით სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურში).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო